7745
მარქს-ენგ.-ლენ. სახ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
F76 №370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 3 ოქტომბერი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 40 (199) ფასი 30 კაპ.

მსოფლიო ახალგაზრდობის ერთიანი პატრიოტული ფრონტი

28 სექტემბერს, მოსკოვში გამართული ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი და ამ მიტინგის მიმართვა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი მგზნებარე მოწოდებად გაისმა მთელს დედამიწაზე. გულის სიღრმემდე სწვდება ამ მოწოდების ხმა საბჭოთა ქვეყნის ყველა პატრიოტს და თავისუფლების მოყვარულ ხალხების შვილებს, რადგან იგი წარმოთქმულია ახალგაზრდა საბჭოთა მეომრების — მფრინავების, ტანკისტების, არტილერისტების, ქვეითი მებრძოლების მიერ, რომელთაც წილად ხვდათ ფაშისტთა ბარბაროსული ჯარების მთავარი დარტყმის მთელი სიმძიმე და რომელნიც იშვიათი ვაჟკაცობით და შეუპოვრობით მედგარ წინააღმდეგობას უწევენ სისხლის წყურვილით გაგიჟებულ ფაშისტ ბანდიტთა უზარმაზარ არმიას. საბჭოთა მებრძოლი ახალგაზრდობის მომწოდებელ სიტყვას უდიდეს დამარწმუნებელ ძალას და სიმძაფრეს აძლევს სისხლი, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდობამ დაღვარა ფაშისტ ურდოების გასანადგურებლად და ის მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო თავისუფლების და კაცობრიობის გადასარჩენად.

განა შეიძლება ჭაბუკმა და ქალიშვილმა, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს და, სადაც არ უნდა სცხოვრობდეს იგი, თუ კი მას პატიოსნება და კაცური ღირსება შერჩენია,— აუღელვებლად მოისმინოს ოკუპირებული ქვეყნის ახალგაზრდობისადმი მიმართული შემდეგი სიტყვები მოწოდებისა:

„შენ სამშობლო გქონდა. პირსისხლიანი ფაშიზმი თავს დაგესხა და სამშობლო წაგართვა. შენ თავისუფლება გქონდა. ჰიტლერელმა ბანდიტებმა თავისუფლება წაგართვეს და მონად გაქციეს.

შენ საკუთარი ეროვნული კულტურა გქონდა, რომელსაც საუკუნეებით ჰქმნიდნენ შენი მამა-პაპანი. ჰიტლერელმა ბარბაროსებმა ფეხქვეშ გასთელეს შენი ეროვნული კულტურა.

შენ სახლ-კარი და ოჯახური კერა გქონდა. ფაშისტებმა იგი დაარბიეს და გადაბუგეს. შენ ოჯახი გქონდა. ჰიტლერმა იგი დაანგრია—ზოგი წევრი შენი ოჯახისა მოჰკლა, ზოგი აწამა, ზოგიც მონად წაიყვანა, ზოგს პატივი ახადა და შებილწა.

შენ გქონდა საუკეთესო ნათელი ოცნება, როგორიც კი შეუძლიან ჰქონდეს ახალგაზრდა კაცს. ფაშიზმი გრიგალივით მოვარდა და ეს ოცნება ჩაჰკლა.

მონობის ასეთსავე ბედს უმზადებს გერმანიის ფაშიზმი მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას“.

ძნელია ამაზე უფრო მკვეთრად და ნათლად გაუთვალისწინო ახალგაზრდობას ის უმწარესი და უსასტიკესი ხვედრი, რომელსაც უქმნის და უქადის მას და მთელს კაცობრიობის მომავალს ფაშისტური ურჩხული.

ის უამრავი დეპეშა, რომელიც მოსკოვის ანტიფაშისტურმა მიტინგმა მსოფლიოს ყველა კუთხის ახალგაზრდობისაგან მიიღო, ის მისალმებები, რომლებიც ყოველდღე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას მოსდის, ცხადჰყოფენ, რომ მთელი კაცობრიობის ახალი თაობა იმსჭვალება ერთიანი ნებისყოფით ფაშიზმის განადგურების შეურყეველი გადაწყვეტილებით, რასაც მსოფლიოს ახალგაზრდობა გამოხატავს არა მარტო დეკლარაციებით და მისალმებებით, არამედ საქმით — დაუცხრომელი შრომით, ანტიფაშისტური ფრონტის შეტევითი უნარიანობის განმტკიცებისაკენ მიმართული დაუღალავი შრომით. ინგლისელი და ამერიკელი ახალგაზრდები აორკეცებენ მუშაობას, რომ გაადიდონ იარაღის წარმოება, რომ გამოუშვან მეტი ტანკები, მეტი ქვემეხები, მეტი თვითმფრინავები ანტიფაშისტური არმიებისთვის, კერძოდ, ჩვენი მამაცი წითელი არმიისათვის. ამერიკელი ქალიშვილები აგროვებენ ფულს და შეწირულებას მედიკამენტებისა და თბილი ტანსაცმელის გამოსაგზავნად საბჭოთა მეომრებისთვის. ოკუპირებული ქვეყნების — საფრანგეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის, ბელგიის, ჰოლანდიის ახალგაზრდები, დაუნდობელი ფაშისტური ტერორის მიუხედავად, პირისპირ ებმიან ოკუპანტებს, აფეთქებენ საწყობებს, რკინისგზის ლიანდაგებს, შლიან კავშირგაბმულობას, თავს ესხმიან და სპობენ მტრის ცალკეულ რაზმებს.

სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ირაზმება მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა. ყველგან ბრძოლებში მილიონობით ებმიან ჭაბუკები და ქალიშვილები. ბრძოლის ცეცხლში იქმნება ახალგაზრდობის ერთიანი პატრიოტული ფრონტი. ეს ფაშიზმზე გამარჯვების ერთ-ერთი უტყუარი საწინდარია. ძველი, მაგრამ მუდამ დაუძველებელი ჭეშმარიტებაა — გამარჯვება და მომავალი ეკუთვნის იმას, ვის მხარეზედაც ახალგაზრდობაა. კაცობრიობის ახალი თაობა სისხლიანი ფაშიზმის მოსისხლე მტერია. ამ ახალ თაობას, ფაშიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში წინ მიუძღვის მამაცი საბჭოთა ახალგაზრდობა. ეს ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის გმირის ტანკისტ ივანე პრომინის პირით მიმართავს დიდ ბელადს:

„კიდევ არის, მამავ, თოფის წამალი საპირისწამლეში: მტკიცეა ჩვენი ხალხის ძალა, ვერ მოსდრეკს ფაშისტური ურდო ჩვენი დიდი წმინდა სამშობლოს თავისუფალ და მძლეთა მძლე შვილებს.

გაგვიძეხ ბრძოლაში, გაუძეხ შენს შვილებს, ჩვენო რკინის სახალხო კომისარო, ჩვენო ბრძენო სარდალო, ჩვენო მამავ, სტალინ!“

კლდესავით ურყევია მთელი საბჭოთა ხალხის რწმენა, რომ კაცობრიობის ახალი თაობა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით გადაიქცევა ფაშიზმის ბნელ ძალებზე ძლევამოსილი გამარჯვების თაობად.

მომქმედი არმია. ჯავშნოსნები ლაშქრობაში.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

პედრო დუდარის პარტიზანები

(სცენარიდან „მენავე“)

ალ. ქუთათელი

1.

სალამოა.

გერმანელი ფაშისტების მიერ აღებულ და განადგურებულ სოფლიდან გამოქცეული მამა და შვილი ავიოყუმბარის მიერ მოთხრილ ორმოსთან სხედან ტყის პირას, სდუმან დამწუხრებულნი. მათ შაშხანით შეიარაღებული ათიოდე გლეხი უახლოვდება. ისინიც დამუნჯებული სხდებიან მამისა და შვილის გვერდით. მოშიშვლებულ ველებსა და პატარა გორაკის თხემზე მიტოვებულ, გადამწვარ და დანგრეულ სოფელს გასცქერიან. ზოგიერთ ხანგრევს ჯერ კიდევ ასდის ბოლი. ლტოლვილებს ფაშისტების ურდოების მიერ აჩეხილი, აწიოკებული მშობლები და ნათესავები აგონდებათ:

— ფაშისტებმა დაიტაცეს ჩვენი ქონება, — იწყებს თავშეხვეული მოხუცი მიკოლა.

— დასწვეს სახლები, გააუპატიურეს ქალები...—აგრძელებს მოხუცის სიტყვას მოხუცივე დუბენკო.

ფიქრში წასული მამა და შვილი შეკრთებიან. თითქოს ეს-ეს არის უმურიან სიზმარს თავი დააღწიეს და საშინელი ზმანება აგონდებათო.

— ხმლით აჰკაფეს ჩემი დედა, მოჰკლეს და ხიშტზე აგეს ჩემი ცოლი... დაიღუპა ჩემი ქალი... — ამბობს პედრო. ულვაშებში ჭაღარა შეჰპარვია. სიტყვას ველარ აგრძელებს, ცრემლი ახრჩობს. თოთხმეტიოდე წლის მისი შვილი მიხაილო, რომელიც თექვსმეტი წლის ჭაბუკს უფრო ჰგავს, გაფითრებული მისჩერებია მამას. დაღუპული დედა, დაი, დეიდა აგონდება. ცისფერსა და დიდრონ თვალებს ახამხამებს. ჯავრისა და ბოღმისაგან ერთთავად გამშრალა და ცრემლი თვალს არ ეკარება.

თავშეხვეული მოხუცი გლეხი მიკოლა სისხლით გაჟღენთილ სახვევს ისწორებს დაკოჟრებული ხელით და პედროს ეუბნება:

— ჩვენთანაც ასე იყო, როცა ფაშისტები შემოვიდნენ ორი კოლმეურნე სოფლის მოედანზე ჩამოახრჩვეს და დაკრძალვა სასტიკად აგვიკრძალეს.

ახლა სხვა სოფლიდან გამოქცეული გლეხებიც იწყებენ გერმანელ ფაშისტების მიერ ჩადენილ სიმხეცეზე ლაპარაკს. კოლმეურნეობის მოანგარიშე ანატოლი მახნენკო ამბობს:

— ქალაქიდან მომავალი ლტოლვილი ბავშვები და ქალები დახვრიტეს იმ დაწყევლილთა ძერებმა, სისხლისმსმელებმა.

მოხუცი მიკოლა აღელვებით შენიშნავს:

— ბავშვებს რაღას ერჩიან ის ურჯულოები?

— მშიერ მგლებზე უარესები არიან! — მიუგებს ანატოლი.

— ტყვე წითელარმიელებს და მეთაურებს ცხვირი და ყურები, ხელფეხი მოჰკვეთეს, ნავთი გადაასხეს და ისე დასწვეს... — ამბობს ჭაბუკი ლაზარ კაცოვიჩი.

— წყეულიმც იყოს იმ სატანების სახსენებელი! — რისხავს ფაშისტებს თავში დაჭრილი მოხუცი.

სანამ დიდები საუბრობენ, ყმაწვილი მიხაილო სდუმს. მერმე ფეხზე წამოდგება. შრომისა და ჯაფისაგან ადრე დაკაცებული ვაჟკაცივით კუმშავს დიდრონ მუშტებს. მამა ტყისაკენ მიჰყავს და იდუმალის ხმით ეუბნება:

— აღარ შემიძლიან. მივდივარ, ბატკო!

პედრო დაკვირვებით ეკითხება:

— რა არ შეგიძლია? სად უნდა წახვიდე?

ყმაწვილი მიხაილო ემუდარება:

— მივდივარ პარტიზანებთან, გამიშვი, ბატკო!

მამა ერთს შეხედავს. შვილის თვალებში ურყევ გადაწყვეტილებას ამოიკითხავს, მხარზე ვეება თათს დაადებს და ეტყვის:

— წავიდეთ, შვილო!

პედრო და მიხაილო ფრონტისაკენ გასწევენ. მათ შაშხანით შეიარაღებული გლეხები მიჰყვებიან. დამუნჯებული და ბოღმით სავსე პარტიზანები სალამო ჟამს ტყეს მიაშურებენ. ისინი მიდიან თავიანთი დედების, დებისა და დახვრეტილი ბავშვებისათვის შურის საძიებლად.

2

პარტიზანები გარს შემორტყმიან ტყეში ლეიტენანტ ოსიპენკოს. ლეიტენანტი პარტიზანებს ასწავლის:

— გერმანელთან ომი ადვილი საქმე არ არის, მაგრამ თუ გულდაგულ ჩაესაფრები და მაგრა მისცხებ, კურდღელივით მოუსვამს. მთავარია: არ უნდა შეგეშინდეს მისი ყალბი რიხისა, ხმაურობისა და ბათქაბუთქისა. გერმანელს რუსის ხიშტის ეშინიან.

პედრო პირველ იმპერიალისტურ ომს იგონებს და უდასტურებს:

— 1915 წელს იერიშზე გადავედით. გერმანელები სანგრებიდან ამოსცვივდნენ და მოუსვეს. ვერ გაგვასწრეს... ერთი თვალწირპლიანი ჯარისკაცი მუხლზე დაეცა და შემევედრა, ნუ მომკლავო. „გოტ, გოტ“-ს იძახოდა. „გოტ“ იმათ ენაზე ღმერთსა ნიშნავს.

— წყეულიმც იყოს მათი ღმერთი!— იძახის თავშეხვეული მოხუცი.

მიხაილოს დაგორგლებული მავთული უჭირავს, ხელი შიგ გაუყრია.

სახე ალანძული აქვს და ოფლი ჩამოსდის. პედრო აფრთხილებს:

— ფრთხილად იყავი, მიხაილო, ფაშისტურ ნადირებს ერიდე, თორემ ეშვებით გაგათავებენ.

— მიხაილო დინჯად უპასუხებს:

— მართალია, ბატკო, გამოცდილ მონადირეებისაგან გამიგონია: ნადირს შუბლსა და გულში, მოხერხებულ ადგილას უნდა მოარტყა ტყვია და გაათავო, თორემ დაჭრილი ნადირი უფრო საშიში და უარესიაო.

პავლო კალათაში ხელსაწყოებს ალაგებს.

— გზა გამარჯვებისა! — მიაძახებს მიხაილოს ლეიტენანტი ოსიპენკო. მიხაილო და ხუთი პარტიზანი ტყე-ტყე მიდიან. გზის პირას ესაფრებიან. იცქირებიან სმენად-ქცეულნი. მიხაილო ხეზე აცოცდება. გზას თავით ბოლომდე გაჰხედავს. მერმე ხიდან ჩამოდის და ამხანაგებს ეუბნება:

— არსად არავინ არა სჩანს. შეიძლება დავიწყოთ.

ხეს მავთულს აჰვევენ. მეორე ბოლო გზის იქითა ნაპირისკენ მიაქვთ. მავთულს გზის გასწვრივ აგდებენ. ტყეში ესაფრებიან. მალე მოტოციკლის გუგუნი მოესმით. გზაზე გერმანელი მოტოციკლისტები მოჰქრიან. პარტიზანები მავთულს სჭიმავენ და ხეზე ამაგრებენ. ერთი გერმანელი მავთულს წააწყდება და თავმოკვეთილივით გადმოვარდება მოტოციკლის უნაგირიდან. ცარიელი მოტოციკლი ხეს ეჯახება. ორი მხედარი სვლას ანელებს და გზიდან უხვევს, მაგრამ მიხაილო და პავლო მოხერხებული გასროლით გადმოიღებენ ამათაც უნაგირიდან. პარტიზანები იარაღს და საბუთებს აართმევენ ფაშისტ მხედრებს მერმე მკვდრებს ტყეში საჩქაროდ შეათრევენ და მოტოციკლებით ტყე-ტყე მიდიან.

* * *

პედრო ეგებება მათ. ლეიტენანტი ოსიპენკო მოკლულ ფაშისტების ჩანთებს და საბუთებს სინჯავს.

— გერმანულად სწერია!

— ლაზარ კაცოვიჩ, შენ გერმანული იცი. მოდი, წაიკითხე! — იძახის პედრო.

შავგვრემანი, ტანადი პარტიზანი რაზმს გამოეყოფა და პედროსაკენ მიდის. ოსიპენკო ქაღალდს გადასცემს. ლაზარ ჰკითხულობს. შემდეგ სთარგმნის:

— ხვალ დილით ფაშისტების ერთი ასეული თითქო მდინარეზე გადასვლას და შეტევას იწყებს გერმანელების მთავარი ძალების ქალაქიდან გასვლის უზრუნველყოფის მიზნით. ფაშისტებს ქალაქის დატოვება გადუწყვეტიათ! — დასძენს ლაზარ კაცოვიჩი.

— დაუყოვნებლივ უნდა შევატყობინოთ ეს ამბავი წითელი არმიის მახლობელ ნაწილს. მახლობელი ნაწილი კი ქალაქის ახლო, მდინარის იქითა ნაპირზეა მხოლოდ,—ამბობს ლეიტენანტი ოსიპენკო.

— ვინ იკისრებს ამ საქმეს?—მიმართავს რაზმს პედრო.

— მე! — იძახის მიხაილო.

— ბავშვი? — გაისმის ხმა.

— ბავშვს ამ საქმეს ვერ ვანდობთ! — შენიშნავს ლეიტენანტი.

— მე ბავშვი არ ვარ...

— მდინარეზე როგორ გადახვალ? დიდი და ფართოა! ცურვით ვერ გაახწევ... — ეუბნება პედრო.

— ანდრია და ლიდა ნავს მიშოვნიან,— უპასუხებს მიხაილო.

— სწორია, მაგრამ შენ მარტო? შენ მეთაური არ გენდობა,—ურჩობს პედრო.

— მე გავყვები,—ამბობს ანატოლი.

— მაშ, ისევ თქვენ! — იწონებს ბოლოს პედრო.

— ცხენებით იარეთ ტყე-ტყე, ქალაქთან შეჩერდით. ქალაქში მხოლოდ მიხაილო წავიდეს უიარაღოდ. ეგ ტანსაცმელი გაიხადე, მიხაილო. ტრუსებითა და მაიკით იარე მხოლოდ, — ასწავლის მიხაილოს ლეიტენანტი. — ტყვედ ჩავარდნა თუ შეატყოთ, ქაღალდი მოსპეთ.

— არის! — ეტყვის მიხაილო.

პედრო ლეიტენანტს ეუბნება:

— განა ბავშვს დაინდობენ ის ვერაგები!—მერმე შვილს გაიხმობს: — დიდედის, დედისა და გალინას სიკვდილზე არაფერი წამოგცდეს. ანდრიას უთხარი მხოლოდ, ლიდამ არ გაიგოს, ცოდვაა. განა არ კმარა ჩვენ რომ ვიტანჯებით?!

ანატოლი და მიხაილო შეკაზმული ცხენებით ტყეში შედიან.

3

სალამო ჟამია.

ანატოლი და მიხაილო ყრუ ბილიკებით მიდიან დაბურულ ტყეში. ხანგრძლივი სვლის შემდეგ, ტყის ერთი მხრიდან ნათელი იჭრება. მიხაილო ცხენს შეაყენებს და ანატოლის ეტყვის:

— აქ უნდა დავაბათ ცხენები. მე მარტო წავალ.

მიხაილო იარაღს იხსნის. მარტოკა ტრუსებისა და მაიკის ამარა გადის ტყიდან. ჯაგებში წახრილი მიდის. მერმე ხრამებს მიჰყვება. ხოხვით მიდის ლაქაშიან ჭალაზე. სახე და ხელები ეკაწრება. ჭალებით ქალაქის გარეუბანს უახლოვდება. ეს უბანი მუშებითაა დასახლებული. ამ დროს დაღამდება კიდეც. ღობეზე გადახტება და ეზოს გაივლის. ეს მისი დის ლიდას და მისი სიძის ანდრიას სახლია. ფანჯარას აკაკუნებს. არავინ არ ეხმაურება. მეზობლის სახლიდან ღრიანცელი მოისმის. დისა და სიძის ამხანაგის, ჭაბუკი მუშის შურა აზარიჩის გარმონის ხმას იცნობს. ღრიანცელი, ამოძახილი და სიმღერები უკრაინულსა და რუსულს არა ჰგავს. „ალბათ, გერმანელები არიან“. — ჰფიქრობს მიხაილო. აივანზე ადის და დის სახლის კარს მუხლს მიაჰერს. კარი უხმოდ გაიღება. ოთახში სიჩუმეა, არავინ არა სჩანს და სპირტის სუნი სდგას. მიხაილო ასანთს გაჰკრავს და თავზარი დაეცემა. საწოლებზე გალეშილი უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები ჰერეხებივით დაყრილან. ერთი მაგიდაზე დამხობილა და ცარიელი არყის ბოთლი ხელში შერჩენია.

მიხაილო ასანთს აქრობს და უჩუმრად გამოდის ოთახიდან. ტანზე უნებლიედ მოისვამს ხელს. უიარაღო ყმაწვილს ცახცახი აუვარდება. ერთი სიტყვა ელვასავით გადასერავს მის გონებას: „ხელყუმბარა“.

ღობეზე გადახტება და მაშინვე ჩაცუცქდება სმენადქცეული. მერმე ლაქაშებით დაფარულ ჭალებისაკენ ისევ მუცელზე ხოხვით გაეშურება. ოღონდაც როგორმე მიაღწიოს ტყეში მოდარაჯე ანატოლამდე!

ირგვლივ სიჩუმეა, მხოლოდ შორიდან ისევ შურა აზარიჩის გარმონის ხმა ისმის.

„შურას გერმანელებთან რა უნდა?“ — ტანჯვით ფიქრობს ყმაწვილი და კვლავ ჯაგებში შერგავს თავს.

* * *

ღამით ქალაქის გარეუბანში გაისმის ულმობელი აფეთქების ხმა და პატარა სახლს ცეცხლი წაეკიდება. მიხაილოს დის, მუშა ქალის ლიდა ზოზულიას სახლი იწვის.

მიხაილო და ანატოლი ბექობიდან მდინარეში გადაეშვებიან.

— ცურვა იცი? — გასძახებს მიხაილოს ანატოლი.

— დარდი ნუ გაქვს, მიდი!—მიუგებს ყმაწვილი.

ფაშისტები პროჟექტორით აშუქებენ მდინარეს. ანატოლი და მიხაილო ცურვით მიდიან. მიხაილოს რკინის კოლოფი წელზე ღვედითა აქვს შემოკრული. კოლოფში საიდუმლო ბარათია. უნდა უთუოდ მიიტანოს წითელი არმიის მახლობელ ნაწილში... ჯერ კიდევ შორს არის პირთამდე სავსე ფართო მდინარის იქითა ნაპირი. პროჟექტორის შუქზე ყვინთვით მიდიან ანატოლი და მიხაილო. უკვე წივიან ტყვიამფრქვევის ტყვიები. ხოშკაკალივით ეცემიან მდინარის ზედაპირზე და შხაპუნით უახლოვდებიან მიხაილოს და ანატოლის.

მიხაილო ღრმად ჩაჰყვინთავს.

ანატოლი მდინარეს გაჰყურებს, მაგრამ ყმაწვილის თავი დიდიხანია აღარა სჩანს.

— დაიღუპა?!

გამოფენა „სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ“

ოქტომბრის პირველ ნახევარში მოსკოვის ლენინის სახელობის მუზეუმში გაიხსნება დიდი გამოფენა თემაზე „დიდი სამამულო ომი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დოკუმენტალური და ბეჭდვითი მასალა, სურათები და ქანდაკებები.

გამოფენა შესდგება სამი თემატური განყოფილებისაგან. პირველი მიეძღვნება თემას: „ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სიმდიდრენი“.

მეორე განყოფილება შეიცავს რამდენიმე თემას. ძირითადია „იოსებ ბესარიონისძე სტალინი—ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელი“. გამოფენის მეორე განყოფილების სხვა თემებია: „თავისუფლების მოყვარული ხალხის ერთიანი ფრონტი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ“, „წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ფაშისტ აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში“, „გმირობა შრომის ფრონტზე“, „პარტიზანული მოძრაობა ფაშისტების მიერ დროებით დაჭერილ ტერიტორიაზე“.

გამოფენის მესამე განყოფილება გააცნობს მნახველებს იმ დოკუმენტებს, რომლებიც ფაშისტების არმიის მხეცობას გამოხატავენ.

გამოფენის მეორე — მთავარ განყოფილებაში — ექსპონირებული იქნება აგრეთვე ხელოვნების ნაწარმოებები: მოქანდაკეების ანდრეევის, მერკუროვის, მუხინის ქანდაკებები, მხატვარ ეფანოვის დიდი სურათი „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა“ და სხვა.

ახალი ამერიკული ანტიფაშისტური კინო-ფილმები

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჰოლივუდმა გამოუშვა რამდენიმე ანტიფაშისტური მხატვრული კინო-ფილმი, რომელთა შორის ამერიკელი მაყურებლის ყურადღებით სარგებლობენ ფილმები „გაქცევა“, „მომაკვდინებელი ქარიშხალი“ და „ღამის მატარებელი“.

ფილმი „გაქცევა“, რომლის დადგმა რეჟისორ მერვინ ლე-როის ეკუთვნის, გვიჩვენებს ერთი ცნობილი მსახიობი-ქალის უბედურებით აღსავსე თავგადასავალს ფაშისტურ გერმანიაში. ახალგაზრდა ამერიკელი მარკ პრეისინგი მიდის გერმანიაში, რომ მოსძებნოს უკვალოდ დაკარგული თავისი დედა, ცნობილი მსახიობი. დიდი გაჭირვებით იგი გაიგებს, რომ დედა მისი მოთავსებულია საკონცენტრაციო ბანაკში, რომ მას სიკვდილით დასჯა მოელის. ფილმის მძაფრი დრამატიული ფაბულა გადმოგვცემს ჭაბუკის უშედეგო ცდას — მიაღწიოს რამე სამართლიანობას ფაშისტი ჯალათების ხელში. ბოლოს ჭაბუკი ახერხებს დედის გამოხსნას ფაშისტ ჯალათების ბრჭყალებისაგან.

მეორე ფილმი „მომაკვდინებელი ქარიშხალი“ დასდგა ცნობილმა რეჟისორმა ფრანკ ბორზეჯიმ. ამ ფილმის მთავარი გმირია მოხუცი პროფესორი როტი, რომელიც კითხულობს ლექციებს გერმანული პროვინციული ქალაქის უნივერსიტეტში. ოჯახითა და საყვარელი მოწაფეებით გარემოცული პროფესორი ეწევა დიდ და ნაყოფიერ მუშაობას. ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომა თავზე რისხვად ატყდება ამ პროფესორსა და და მის წრეს. პროფესორის ერთ-ერთი მოწაფე მარტინ ბრეიტნერი ხდება აქტიური მებრძოლი ფაშიზმის წინააღმდეგ. პროფესორის ქალიშვილის საქმრო კი თავზეხელაღებული ფაშისტია. პროფესორის ქალი სწყვეტს მასთან ყოველგვარ კავშირს და ხდება მარტინის მეგობარი და თანამებრძოლი. ჰიტლერელები პროფესორს საკონცენტრაციო ბანაკში ათავსებენ, როგორც არა არიელს, და იქ მოხუცი პროფესორი კვდება. მარტინი და მისი მეგობარი ქალი ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გადასწყვეტენ დასტოვონ გერმანია, მაგრამ საზღვარზე მათ დაეწევა ქალის ყოფილი საქმრო და ტყვიით კლავს თავის ყოფილ საცოლეს, ხოლო მარტინი ახერხებს ამ გარეწარის ხელიდან დაძვრენას, რომ უცხო ქვეყანაში განაგრძოს მუშაობა თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვის ჯალათებისა და მკვლელების ძალმომრეობისაგან.

სათავგადასავლო დედექტიურ ჟანრს ეკუთვნის ახალი ამერიკული ფილმი „ღამის მატარებელი“ (რეჟისორი კეროლ რიდი). ამ ფილმის ფაბულას წარმოადგენს ინგლისელი საიდუმლო აგენტების ბრძოლა გერმანელი ჯაშუშების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მნიშვნელოვანი სამხედრო გამოგონება: ერთი ჩეხი მეცნიერის მიერ დამზადებული რეცეპტი გემთსაშენებელი ახალი ფოლადის დასამზადებლად. ეს ჩეხი მეცნიერი, რომელიც ამ რეცეპტზე თავის სამშობლოში მუშაობდა, ფაშისტების მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის შემდეგ თავშესაფარს პოულობს ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში. ამის შემდეგ ფაშისტები აპატიმრებენ ამ მეცნიერის ქალიშვილს და აძლევენ მას გაქცევის შესაძლებლობას, რომ ამით მიაგნონ მისი მამის კვალს. ბერლინიდან მიმავალ ღამის მატარებელში იწყება დაძაბული, პერიპეტიებით აღსავსე შეტაკება ინგლისელ მაძებარ პოლიციელებისა ფაშისტებთან, რომლებიც მარცხდებიან და ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს — ვერ ახერხებენ ამ მნიშვნელოვანი გამოგონების ხელში ჩაგდებას.

„წითელი კავალერიის ქვემეხები“ მიეშურებიან ცეცხლის ხაზზე
(საკდესის ფოტოქრონიკა)

მეომრის სიმღერა

ან. თევზაძე

ბაღნარებო, ველმინდვრებო
სიმინდიან-ვაზიანო,
ბრძოლის ველზე მივიჩქარი
ვერაგ მტერთა საზიანოდ,
წინ მიმიძღვის შოთას სიტყვა
ვაჟკაცების საზიარო.

ყურს ვუგდებ და გულს ვისახავ
სიტყვებს ბრძნულს და
კეთილხმოვანს,
ვიმეორებ წინაპართ ხმას:
— შერცხვენილი აქ ვერ მოვალ,
ან მოვკვდები და ვერ მნახავთ
ან გმირს მნახავთ სახელოვანს.

დედის ძე ვარ ერთადერთი
და გული ცემს მკერდში ვიდრე,
მხნედ ვიბრძოლებ სამშობლოსთვის
რომ მისი მზე მაღლა იდგეს,
გმირობა და სიჭაბუკე,
მის კალთაში დავიმკვიდრე.

ვერც გამტეხავს მტრის მახვილი
არც გავხდები ვისმეს მონა,
მტერს შევმუსრავ, რომ ვერ
შესძლოს
გასაქცევი გზების პოვნა;
გული მიცემს მამაცურად
სამშობლომ რომ შთამაგონა.

ბაღნარებო, ველმინდვრებო
სიმინდიან-ვაზიანო,
ბრძოლის ველზე მივიჩქარი
ვერაგ მტერთა საზიანოდ,
წინ სტალინის დროშა მიძღვის
ყველა ხალხის საზიარო!

კულტურის დაცემა ფაშისტურ იტალიაში

იტალიაში ფაშისტების ბატონობის პირველი დღიდან გაუგონარი დაქვეითება განიცადა იტალიელი ხალხის დიდმა კულტურამ. თვით ფაშისტური გაზეთები ვეღარ მალავენ, თუ რამდენად შემცირდა წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟი. ახლა იქ წიგნის ტირაჟი საშუალოდ 500 ცალს აღარ აღემატება. ფაშისტ ლიტერატორების უნიჭოდ შეთითხნილი „ნაწარმოებები“, მათი ყალბური იდეოლოგია მკითხველებში ზიზღის მეტს არაფერს იწვევს. არავინ კითხულობს ასეთს ლიტერატურას, ამიტომ არის რომ მათი ტირაჟი ძალზე შემცირდა. ერთერთი ფაშისტი „იდეოლოგი“-ს აზრით—„იტალიელები ცოტას იმიტომ კითხულობენ, რომ ისინი სხვა ხალხებზე ჭკვიანები არიან“-ო. ასეთი სულელური ლაყბობით იტალიაშიაც ვეღარავის ატყუებენ.

იტალიის ახლანდელი ლიტერატურა მკვლელობისა და ძარცვის ქადაგებაა, სიკვდილისა და ნგრევის ქება-დიდება. ლიტერატურას ტონს აძლევდნენ აწ განსვენებული დანუნციო, რომელიც სიკვდილისა და თვითმკვლელობას უმღეროდა და მარინეტი, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა მანიფესტებს „სახიხარულო“ ომის სადიდებლად, მანიფესტებს, რომლებიც უფრო სასაცილოდ გამოჩნდებიან თუ გავიხსენებთ როგორ გაითქვეს სახელი მარტოოდენ დამარცხებებით იტალიელმა მეომრებმა. იგივე მარინეტი არის ავტორი იმ სულელური „თეორიის“, რომ „ქვეყნის გაჯანსაღების ერთად-ერთი საშუალება ომია“.

რამდენიმე ახალგაზრდა ლიტერატორისა და განსაკუთრებით მწერალ მორავიას წიგნები, რომლებიც გამსჭვალულია სასოწარკვეთილებითა და პესიმიზმით და რომლებიც გამოხატავენ თანამედროვე ფაშისტური იტალიის საზოგადოების გადაგვარებას, უკვე აკრძალულია.

უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნები უმთავრესად ომისადმია მიძღვნილი (ამ წიგნებში რა თქმა უნდა, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ ამარცხებდნენ ფაშისტ გენერლებს). წიგნის ბაზარზე დიდი ადგილი უჭირავს აშკარა პორნოგრაფიული ჟანრის წიგნებს.

ერთი ფაშისტი ავტორი, ანტონიო მარინი თავის რომანებში ცდილობს დაამტკიცოს ქალის არა „სრულფასოვნება“. მის შეხედულებებსა და მის სტილზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციტატი: „ფიქრი იმაზე რომ ქალს რაიმე ესმის პოლიტიკაში, რამე შეუძლიან წიგნიდან გაიგოს — ეს იმას უდრის, რომ ძროხას კაკაო აძლიო“.

შავხალათიანთა მიერ სიკვდილის კულტის გამეფება გამოხმაურებას ჰპოვებს ფაშისტურ პოეზიაში. ერთ-ერთ ახალგაზრდა ფაშისტ ლიტერატორის პოემა იწყება ასეთი უაზრობით: „ჩვენ ქვეყანაზე ვჩნდებით მსგავსად შემთხვევითი მოჩვენებებისა. ვავსებთ მიწას ჩვენი ტანჯვებით ჩვენ ღვთისაგან დაწყევლილ უამრავ ლეგიონს, ჩვენ ხორცით დაფარულ ჩონჩხებს. წილად გვერგო განვიცადოთ უჩინარი საშინელება იმისათვის, რომ დავიბადენით“.

გმირული სიმღერები

გ. გიასელი

ძველი ქართული ხალხური პოეზიის ძირითადი მოტივთაგანია გმირობა, ერთგულება მშრომელი ხალხისადმი და განსაცვიფრებელი ამტანიანობა. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ გამოაწრთო ქართველი ხალხის გმირული პათოსი.

ქართული საგმირო ეპოსის ბრწყინვალე ნაწარმოებნი („ამირანი“, „ტარიელი“, „ხალხური ვეფხის-ტყაოსანი“, „როსტომი და ზურაბი“, „არსენას ლექსი“, „ხირჩლა და ალუდა“, ერეკლეს გარშემო შეთხზული გმირული სიმღერები) ამტანიანობას, მოძალადის წინააღმდეგ შეტევას, საკუთარი მიწა-წყლის დიდ სიყვარულს უღვივებენ გულში მსმენელსა თუ მკითხველს.

ძველ ხალხურ პატრიოტულ ლირიკაში სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული მჭიდროდაა დაკავშირებული მტრებისადმი თავზარდამცემ მზადყოფნასთან. ქართველი გმირი — კაცი და ქალი — სხეულის მძიმე ჭრილობას არაფრად იმჩნევს, რადგან იგი ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობას ეწირება.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობა იცნობს არამარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისათვის.

აკაკი წერეთელი „ირაკლი ბატონიშვილში“ ქართველ ქალს, გმირის აღმზრდელ დედას, „სულით მაღალს“ უწოდებს, რომელიც ყრმას ნანინაში „საგმირო-სავაჟკაცოს“ ჩასძახის.

„ქართველო ქალო, ქალთა მზევ,
სულით მაღალო დედაო,
შენი ბედისა ვარსკვლავი
სისხლისფრად გაიჭედაო:
შენ მარტო შენთვის არ გინდა,
ქვეყნის მსხვერპლად ზრდი შვილსაო,
ნაღვლიან ცრემლით განბანილს
რომ აძლევ ძუძუს ტკბილსაო.
თანც ეუბნები ნანინას
საგმიროს, სავაჟკაცოსო,
რომ მტერმა ჩვენი სამშობლო
უღვთოთ არ წარიტაცოსო“.

ასეთი მაღალი იდეალებითაა დაჯილდოებული ქართველი ქალი. ეს მოტივი დამახასიათებელია ქართული ზეპირსიტყვაობისათვის.

ქართულ საგმირო შაირებში განსაკუთრებული პოეტური ძალითაა გამოთქმული პატრიოტული გრძნობა, გმირობა, სილაჩრის გმობა, აღფრთოვანება.

თვით ხალხური მეტაფორები — გული რკინის, მუხლი მგლის, მხედველობა ქორის ან შევარდნის — მშვენივრად გამოხატავენ ქართველი ვაჟკაცების თვისებებს.

ქართველ გმირს ახასიათებს ბრძოლისათვის დიდებული შემართება, მტრის თავზე რისხვად დატეხვა:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედველნი,
მუხლები შევარდნისაო“.

ქართველი პატრიოტი თავისი მამულის, თავისი სამშობლოს მიწა-წყლის უერთგულესი მსახურია:

„ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია“.

ვაჟკაცი კვეხნით არასოდეს არ იმკობს თავის პიროვნებას. იგი უნდა შეამკოს გმირობამ, წარმატებითმა გმირობამ. ამიტომ ამბობს ხალხი ეროვნულ გმირზე:

„ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელ შვენება თავისა:
უნდა მას ხმალი უჭრიდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა“.

ძველ ხალხურ პოეზიაში, აღნიშნულია რა ვაჟკაცის დედის დამსახურება, იქვე დახატულია რაინდი შვილის სურათი:

„ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგეთი მშვენიერიო
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი,
ბრძენი და გონიერიო“.

აი ქართველი რაინდის, ნამდვილი გმირის სახე, გიორგი სააკაძის მაგვარი ვაჟკაცის დახასიათება. ასეთი რაინდი მტერთან ლომია, უტეხი, მარდი და სწორუპოვარი.

საქართველოში შემოსეული მტრები ყოველთვის გამანადგურებელ პასუხს ღებულობდნენ.

ცალკე გმირთა სახელებიც შემოინახა ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ:

„მარტიავ, მამსურის შვილო,
ხმალს როდის მოგიშიშვდება,
ომში შახოლ და გამოხოლ.
გული არ შაგიშინდება,
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ გაგიცურდება“.

საბჭოთა ქვეყანა გმირთა ქვეყანაა. ხალხმა კარგად იცის, როგორი პასუხი უნდა გასცეს მტრებს.

ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს** ხალხი მიმართავს:

„გმირნი ვართ მინდვრად, ჰაერში
ზღვით-ზღვამდე გაფენილები.
გმირნი ვართ, შენგან ნაწრთობნი,
შენგანვე დაფრენილები“.

ხალხი დიდ **სტალინს** მჭიდრო რიგებად დარაზმული მიჰყვება. ხალხი ასეთ დაპირებას აძლევს ბელადს:

წავყვები, საცა წაგვიყვანს.
დრო რო დადგება ცდისაო,
ძველი ფეშური ფრანგული,
როგორ ლამაზად სჭრისაო.
მტერს სისხლი ღვარად ვადინოთ,
ხმა ჰქონდეს ალაზნისაო...
— სამშობლოს სხვასა არ მივსცემთ,
ჩვენც არ გვინდარის სხვისაო,
გულში შუქივით ჩამდგარა
სიტყვები სტალინისაო“.

ახლა, როცა ფაშისტურმა გერმანიამ მუხანათურად დაანთო ბრძოლის ხანძარი მშვიდობიანი მშრომელი საბჭოთა ხალხის სამშობლოს წინააღმდეგ, ხალხის დაპირება ბელადისადმი — „თუ მტერი სადმე შემოგვეპარა, ქართულ ხმალ კიდევ სჭრისაო“, განაღდებული იქნა. ხალხი შეჰპირდა დიდ სტალინს: „შენს დაძახილზე, ბელადო, ერთიც არ დაიგვიანებს“.

საბჭოთა უძლეველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, აღდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ხალხი იბრძვის სტალინისათვის, სამშობლოსათვის, ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

ხალხს სჯერა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ:

„მზე აღარ ჩაუსვენდება
დიდი სტალინის მიწასა“

ახალი წიგნები

წიგნი კაპიტან გასტელოზე

გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა წიგნი საბჭოთა კავშირის გმირზე, ვაჟკაცურად დაღუპულ მფრინავ კაპიტან გასტელოზე. წიგნის ავტორები არიან უკვდავი გმირის გასტელოს მახლობელი ადამიანები — მამა, დედა და ცოლი. როცა ამ უბრალოდ მოყოლილ, გულწრფელი გრძნობით გამთბარ მოთხრობას ვკითხულობთ, ჩვენ წინ სდგება სახე თავდაბალი საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც წარმოუდგენელი გმირობა ჩაიდინა: თავის სიკვდილით სიკვდილი და განადგურება დაატეხა თავს ვერაგ მოსისხლე მტერს. გმირის მამა მოგვითხრობს, თუ როგორ ყალიბდებოდა მისი მამაცი შვილის ხასიათი და ნებისყოფა ქარხანაში მისი ხანგრძლივი მუშაობის დროს. ავიაცია.—ამბობს გმირის დედა—გადაიქცა ჩემი შვილის სტიქიად; იგი ავსებდა მის ცხოვრებას და თუმცა სხვა ინტერესები მისთვის უცხო არ იყო, მფრინავის პროფესია მაინც ჰას თავდავიწყებამდე უყვარდაო. ცოლის ნაამბობი მფრინავ გასტელოს გვაცნობს, როგორც ადამიანს, როგორც მგზნებარე პატრიოტს, რომელიც სულდგმულობდა თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით და დაუცხრომელი სიძულვილით ფაშისტური ურდოებისადმი.

„დატყვევებული პარიზი“

„გოსლიტიზდატმა“ გამოსცა ილია ერენბურგის ახალი წიგნი „დატყვევებული პარიზი“. ამ წიგნში მოთავსებული ნარკვევები ნათლად წარმოგვიდგენენ იმ დიდ ნაციონალურ უბედურებას, რომელიც ჰიტლერის ჯარმა თავს დაატეხა საფრანგეთს და მის დედა-ქალაქს. ერენბურგის წიგნში ძუნწად და მოკლედ გადმოცემულია მხოლოდ ფაქტები და ამ ფაქტების მნახველის შთაბეჭდილებანი. ეს ფაქტები თავისთავად ლაპარაკობენ, ისინი ახსნა-განმარტებას არ საჭიროებენ. მხოლოდ ზოგჯერ ფაქტების შეჯამებას მოსდევს რისხვით, სიძულვილით და იმედით გამსჭვალული რამდენიმე სიტყვა ავტორისა. „მე ვიცი ფრანგი ხალხის სიმამაცე, მე მინახავს მარნა და ვერდენი. მე მესმის, თუ რატომ აცეცებენ შიშით თვალებს ჰიტლერელები, რატომ ჰგვრის მათ შიშს გარეგნულად დამშვიდებული პარიზი. ფრანგი ბიჭუნა მღერის: „შენ მალე წახვალ აქედან“. ცხადია, მათ მოუხდებათ არა წასვლა, არამედ გაქცევა საფრანგეთიდან, მაგრამ გაიქცევიან არა ყველანი.,

ერენბურგის წიგნი თავდება ნარკვევით „14 ივლისი“. 14 ივლისი ბასტილიის აღების დღეა. ჰიტლერმა მთელი ევროპა ბასტილიად გადააქცია. „ჰიტლერია, — სწერს ერენბურგი, — აი მეოცე საუკუნის ბასტილია. საშინელი აშმორებული სატუსაღო, სადაც სულს ღაფავენ ევროპის ხალხები. ამ ახალ ბასტილიაზე დღეს იერიშები მიაქვთ წითელი არმიის მეომრებთან ერთად ფაშისტების მიერ დამონებული ქვეყნების პარტიზანებსა და გმირებს, თავისუფლების მოყვარე საფრანგეთის პატრიოტებს. ბასტილია აღებული იქნება!“

ნ. ოსტროვსკის რომანი „ქარიშხლით შობილნი“

გამომცემლობა ფედერაციამ გამოსცა ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანი „ქარიშხლით შობილნი“. რომანი თარგმნილია პოლიო აბრამიას მიერ.

„დაჰკრავს ინგლისის საათი“

ამ სათაურით ნიუ-იორკში გამოქვეყნდა ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალის ვერა ბრიტენის წიგნი. წიგნი შეიცავს ნარკვევებს და მოთხრობებს ინგლისის, კერძოდ, ლონდონის ცხოვრებიდან გერმანული ავიაციის თავდასხმის დღეებში. ამერიკული კრიტიკის აზრით, წიგნის საუკეთესო ადგილებს წარმოადგენენ ის თავები, სადაც აწერილია ლონდონის ბარბაროსული ბომბარდირებით გამოწვეული ნგრევა. მაგრამ ავტორი ცრემლებს არა ღვრის ლონდონის ისტორიული ძეგლების ნანგრევებად გადაქცევის გამო. იგი მოუწოდებს მთელს ინგლისელ ხალხს, იქონიოს სიმშვიდე, დაძაბოს თავისი ძალები დაუნდობელი და ვერაგი მტრის გასანადგურებლად

ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი იკავებს პოზიციას ცეცხლის ხაზზე.
(საკდესის ფოტოქრონიკა)

სამშობლომ გამომგზავნა!

როდიონ ქორქია

1.

ფაშისტები რომ სოფელში შემოვიდნენ, საშა შინ არ იყო. ის დილიდანვე წავიდა სათევზაოდ. ანკესი და ვედრო წაიღო. დიდხანს თევზაობდა. ხუთიოდე ქორჭილა და კობრი დაიჭირა და ვედროში ჩაყარა. მზემ რომ დააცხუნა, საშამ ბანაობა დაიწყო. საშას უყვარდა ჰყუმპალაობა და ვინ იცის, რამდეხანს იჰყუმპალავებდა, რომ სოფლიდან ცაში ავარდნილი ალი არ დაენახა. საშამ წამსვე ჩაიცვა. ვედროს ხელი დასტაცა და შინისაკენ გასწია. გული ისე უფართხალებდა, როგორც ის თევზები, ვედროში რომ იბრძოდნენ სიცოცხლისათვის.

აი სახლიც. შორიდან დაინახა სახურავზე ამართული წითლად შეღებილი ხის მამალი. ფრთა და ნისკარტი მოსტეხოდა ხის მამალს და ისე იდგა, თითქოს გაკვირვებულიაო, რას მერჩოდნენ, ვის რა დავუშავეო.

აი ეზოც. ჭიშკარი შელეწილი იყო. ეზოში ფაშისტების საბარგულები და ტყვიამფრქვევი იდგა. ფაშისტებს სახლიდან ნივთები და სურსათი გამოეტანათ და საბარგულზე ალაგებდნენ. საბარგულზე დაეკრათ კისერგამოღადრული ქერატი. ღორს სისხლი უჟონავდა და თეთრ ჯაგარს ლენტივით გასდევდა. ღორს პირი დაეღო, თითქოს უნდოდა დაეყვირა: ათი ღორი ერთ ღორს მომერიეთ, ეგ რა ვაჟკაცობა არისო?

საშა ავარდა კიბეზე. ჰარმალზე თავგატეხილი მამა დაინახა. უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ზღურბლზე თვალი მოჰკრა უცნაურ ჯგუფს. მას ძველ სასაფლაოზე უნახავს ასეთი სურათიანი ძეგლები: პატარა ბავშვი და დედა, ერთმანეთს გადაჭდობილნი და ხელებგაფარებულნი, თითქოს სიკვდილს ებრძვიანო.

საშამ იცნო: ეს ხომ მისი დედაა? ეს პატარა ხომ მისი დაიკოა? მაშ ესენიც მოჰკლეს ფაშისტებმა? ეს პატარაც?

ყელი გაუშრა. ენა ვერ დასძრა თითქოს გახურებული ჰაერი ჩაუბერესო პირში საბერველით. წაბარბაცდა და კედელს მიეყრდნო. ხელიდან ვედრო გაუვარდა. წყალი დაიღვარა და თევზები გამოცვივდნენ. თევზებმა ფართხალი და ხტომა იწყეს. ერთი კობრი იქ ჩახტა, სადაც დედის მკერდიდან გამოჟონილი სისხლის გუბე იდგა. ჯარისკაცმა ხელი დასტაცა გასისხლიანებულ თევზს და უბეში ჩაიდო. მან აქეთ-იქით მიიხედა, ხომ არავინ დამინახაო. მას უნდოდა მარტოდ-მარტო შეეჭამა ეს თევზი.

2.

საშა რომ გონს მოვიდა, არც სახლში, არც ეზოში არავინ იყო. საშა ადგა, ჩამწარებული თვალებით გახედა კარმიდამოს. კარმიდამო იწვოდა. ალი და კვამლი ხან ზევით ადიოდა, ცისკენ, ხან მიწას ეკვროდა. ალი სწვავდა ბალახს, ხან ბაღში შედიოდა და ნთქავდა ხეხილს. შიშინებდნენ ფოთლები, ტკაცუნობდნენ ტოტები და გულდაწყვეტით ირეოდნენ ფრთაშებოლილი ჩიტები: მათ არა ჰქონდათ არც თავშესაფარი, არც ჩამოსაჯდომი ადგილი. სოფელში გერმანელ ფაშისტებთან ერთად ასთავიანი სიკვდილი შესულიყო და იგი სიკვდილი ხრავდა ყველაფერს.

საშამ ბარი გამოიტანა და სამარის თხრა დაიწყო. რბილი იყო შავი მიწა და იოლად ნებდებოდა პიონერის მკლავებს. დიდხანს სთხრიდა საშა სამარეს. აი დაღამდა კიდეც. საშა ისევ ისე თხრის სამარეს. მთვარე ამოვიდა — საშა ისევ ისე სთხრის სამარეს. მკრთალია მილეული მთვარე. მაგრამ იწვის სახლი და ალი ანათებს სამარეს.

ხანდახან გრილი სიო ჩამოიქროლებს, ბოლსა და ალს გაჰფანტავს, პიონერის ყელსახვევს შეათამაშებს. საშა ოფლს მოიწმენდს სახელოთი და განაგრძობს თხრას.

შორს სადღაც ძაღლი ყმუის. თითქოს გლოვობს ყელგამოჭრილ პატრონს.

შორს სადღაც გადარჩენილმა მამალმა იყივლა. არავინ უპასუხა.

ღამურამ ჩამოუქროლა საშას. ერთხანს იფარფატა სამარის თავზე და სიბნელიდან მოსული სიბნელეს შეერია.

დილამდე სთხრიდა სამარეს საშა.

დილას, მზემ რომ სამარეში ჩაიხედა, დიდი ორმო დაინახა.

საშამ დედა, მამა და პატარა დაიკო ჩააწვინა იმ ორმოში. ბარს ხელი დასტაცა და მიწის მიყრა იწყო.

არ იცის საშამ, რამდენი დრო მოუნდა მიწის მიყრას.

მხოლოდ როცა სამარეზე ბორცვი გაჩნდა და უკანასკნელი ბარი მიწა დააყარა, საშამ ახედ-დახედა ბორცვს. მუხლოთ მოიკეცა და დაეცა.

ცრემლები წასკდა და ქვითინი მორთო.

ტიროდა დიდხანს, გულამოჯდომით. კვნესით. ტიროდა და თავს ბორცვზე ახეთქებდა. ტიროდა და ხანდახან მუშტს შეკუმშავდა, მუხლებზე და მკერდზე ირტყამდა.

— დედაა!

— მამაა!

— დაიკოო!

თითქოს უნდოდა სამარეში ჩასწვდომოდა მისი ხმა იმათ, ვინც უყვარდა საშას, ვინც მთელ ქვეყანას ერჩია.

არ იცის საშამ, რამდენი ხანი იტირა. ძაღლის ყმუილმა გამოაფხიზლა.

ძაღლი ჩაცუცქებულიყო გვერდით და საზარლად ყმუოდა, თითქოს შველას თხოვდა.

საშა ადგა. ცრემლისაგან ყელსახვევი ისე დასველებოდა, რომ ქარი ვეღარ აფრიალებდა.

საშამ მიმოიხედა. გზაზე გერმანელების საბარგული გამოჩნდა. ზოგი სოფლიდან გადიოდა: ნადავლი მიჰქონდა. ზოგი სოფელში შედიოდა: ჭურვი მოჰქონდა.

ფაშისტები რომ დაინახა, საშას გააჟრჟოლა, სამარეზე დაიხარა და ხმადაბლა შეჰფიცა:

— ვფიცავ პიონერის სახელს, ვფიცავ ჩემი ცრემლით დასველებულ ყელსახვევს, ვფიცავ თქვენს სამარეს, რომ გადავუხდი მათ. დიაღ, გადაუხდი მათ, ან მე არ ვიქნები პიონერი საშა ტიშკევიჩი...

3.

მთელი კვირაა, რაც ფაშისტები სოფელში დაბანაკდნენ და წინ ვერ მიდიან.

მთელი კვირაა, რაც საშა გულდასმით სწავლობს, თუ როგორ არიან განლაგებული ფაშისტები.

მთელი კვირაა, რაც საშა მდინარეზე დადის სათევზაოდ. წავა დილას ისე, რომ ყველა ხედავდეს.. ბრუნდება ისე, რომ ყველა ხედავდეს.

უკან დაბრუნებისას შტაბთან გაჩერდება და ოფიცრების წინ თევზებს ამოალაგებს. ოფიცრები ჩაჰხედავენ ვედროში, აათამაშებენ ცოცხალ თევზებს და ბოლოს იყიდიან.

იყიდიან, მაგრამ ბევრს როდი აძლევენ პატარა მეთევზეს: ხან პურის ნატეხს მიუგდებენ, ხან კარტოფილს.

ასე ცხოვრობს პატარა მეთევზე მთელი კვირა. ეშმაკურად და ოსტატურად ათვალიერებს მტრის ძალებს და იმას, თუ როდისაა შტაბში ყველაზე მეტი ოფიცერი. განსაკუთრებით ის აინტერესებს პატარა მეთევზეს, თუ როდისაა შტაბში თვითონ პოლკოვნიკი,. აი ის, ცოცხალ წითელ ძეხვს რომ ჰგავს.

ეშმაკურად და ოსტატურად ააცოცა გუშინ ყუმბარა საბარგულიდან. გასინჯა. შეინახა.

მთელი კვირაა, რაც პატარა მეთევზე ისე დადის, თითქოს მკერდში ნაღვერდალი უძევს და იწვისო.

მთელი კვირაა, რაც დედ-მამისა და პატარა დაიკოს აჩრდილები მოსვენებას არ აძლევენ, თან დასდევენ, ეჩურჩულებიან:

— იძიე შური! შური იძიე! არ შეარჩინო ჩვენი სისხლი ფაშისტებს!..

აი წუხელისაც, თავის გადამწვარ ეზოში, საფლავზე რომ მიიძინა, მამა დაესიზმრა. უთხრა:

— მე ვიცავდი ჩემს ქვეყანას, როგორც შემეძლო. მე ვებრძოდი ფაშისტებს, სანამ თავს გამიჩეხავდნენ. იბრძოლე შენც, დაეხმარე სამშობლოს, რითაც შეგიძლიან. მევიწროება სამარე, სანამ ჩვენს მიწაზე ფაშისტები დადიან...

საშას გაეღვიძა. წამოვარდა. ანკესსა და ვედროს ხელი დასტაცა, მდინარისაკენ გაეშურა.

ოჰ, რა კარგად ითევზავა იმ დღეს პატარა მეთევზემ! მკერდში რომ ცეცხლი არა სწვავდეს, სიმღერას შემოსძახებდა და ცეკვა-თამაშით შევიდოდა სოფელში.

მაგრამ პატარა მეთევზემ ახლა დიდ ონავარზე უნდა ინადიროს.

ამიტომ მიდის იგი შტაბისაკენ ნელის ნაბიჯით, ჩაფიქრებული სახით. მარცხენა ხელში თევზიანი ვედრო უჭირავს, მარჯვენას კი ხშირად ჩაიყოფს უბეში: არის თუ არა შიგ მომზადებული ყუმბარა?

მიდის პატარა მეთავზე და ხელით ეალერსება ყუმბარას:

— გამიწიე სამსახური, ყუმბარავ! დამეხმარე! დედა მომიკლეს, მამა მომიკლეს, პატარა დაიკო მომიკლეს!..

— გამიწიე სამსახური, ყუმბარავ! სკოლა მქონდა — წამართვეს, სახლი მქონდა—წამართვეს. საბავშო ოლიმპიადისათვის ვემზადებოდი და სოფელი სასაფლაოდ აქციეს... რამდენი პიონერი ააწიოკეს არამზადებმა?.

— გამიწიე სამსახური, ყუმბარავ! ნუ დამზოგავ მეც, თუ საჭირო იქნება. ოღონდ ვიძიოთ შური... შური ვიძიოთ...

— აბა, მოდი პატარა მეთევზევ, მოდი! — მოესმა საშას შტაბიდან. — გვაჩვენე, რა დაიჭირე დღეს!

— შემოვიდე? — იკითხა საშამ და ხმა აუკანკალდა. გულმა ბაგიბუგი დაუწყო.

ახლოვდებოდა სანატრელი ჟამი.

საშამ მარდად აირბინა კიბე. შევარდა ოთახში.

ოჰ! ბედი ჰქონია საშას. ისიც აქაა, პოლკოვნიკი? იმათი მთავარი ოფიცერი? ჰოო, მარტო ერთი ეს პოლკოვნიკი რად ღირს?

საშამ ვედრო დადგა და თითით უჩვენა. ხმის ამოღება გაუძნელდა.

ოფიცრები დაიხარნენ ვედროსაკენ.

— ექვსი თავი და თორმეტი პაგონი! — დაითვალა საშამ, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ექვსივე ოფიცერი იქ იყო.

— წყალი რატომ ამოასხი, არამზადავ? — დაუყვირა პოლკოვნიკმა და ისე დაიხარა ვედროსაკენ.

— წყალი?

ჰო, წყალი იმიტომ ამოასხა საშამ, რომ... ყუმბარა თუ ვედროში ჩავარდებოდა, წყალში არ ჩამქრალიყო.

უცბად პიონერის ხელი ჰაერში გაიშალა და:

— სისხლი სისხლისა წილ! — შესძახა პიონერმა.

იგრიალა ყუმბარამ. ექვსი თავი და თორმეტი პაგონი ნაფლეთებად იქცა და ერთმანეთში აირია.

როცა ჰაერი გაიწმინდა, ფაშისტებმა ცოცხალ-მკვდარი პიონერი გზაზე დააგდეს. ის კიდევ სუნთქავდა, როცა ქუსლი ჩაჰკრეს .თავში.

პიონერმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, ერთხელ კიდევ გაახილა თვალი და მიმოიხედა. თავს ადგნენ გამხეცებული ფაშისტები და უყვიროდნენ:

— ვინ გასწავლა? ვინ გამოგგზავნა?

— სამშობლომ! — უპასუხა პიონერმა. — სამშობლომ გამომგზავნა! — და ცისფერი თვალები მშვიდად დახუჭა.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შე 41405